სამშობლო

ოთხშაბათი
6 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად [illegible] 4 [illegible] დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილ [illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ტრის 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი [illegible] პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. [illegible] განცხადებების მიბეჭდვა [illegible] ნაშუადღევის 2 საათ. დილის 8 მ.
2 [illegible] 4 მან.

№ 256 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 256

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნული დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურად გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ. დამატებით 7 კ. პროვინციაში თვიურად დაკვეთა არ შეიძლება, ადგილობრივ კი თვიურად დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მანეთი, პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.

წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით. დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.

ადგილობრივ და თვიურ ხელის მომწერთ, ვინც პირველ იანვრამდი ხვედრ ფულს არ წარმოადგენს, გაზეთი არ გაეგზავნებათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

5 იანვარს, დილის 4 საათზე ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მისი: სოფიო პეტრეს ასული მაისურაძისა, ემილია პეტრეს ასული არეშოვისა, ლეონ, ვასილი, და ზაქარია პეტრეს ძენი კოკოჩაშვილები და ქვრივი მარიამ მიხეილის ასული კოკოჩაშვილისა ოჯახობით.

მიცვალებულს გამოასვენებენ, პარასკევს, 8 იანვარს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზე, საკუთარ სახლიდან, (აფთიაქის ქუჩა) კათოლიკეთა ეკლესიაში, ხოლო იქიდან წაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე.

1916 წ.
იანვარი
6
ოთხშაბათი

ვალერიან გუნიას გასტროლი.

„ქართული დრამა". № 38

ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

კლასიკური ტრაგედია

მეფე ლირი

5 მოქმ.

ავტორი: შექსპირი, მთარგმნელები: ი. ქიქავაძე, ი. მაჩაბელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

მონაწილეობს მთელი დასი

რეჟისორი **შალვა დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართული დრამის" ამხ-ს. 2—2

ანონსი: მზადდება:

ახალი პიესა „ბიდის ტრიალი".

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან,

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდნენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ელექტრო **„რადიუმი"** თეატრი

ხუთშაბათ 7 იანვარს, 1916 წ. საუცხოვო მხატვრული პროგრამა:

მამები და შვილები

კინოილუსტრაცია ი. ს. ტურგენევის რომანისა, ქართული დრამატიული დასის ცნობილი მსახიობის **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო **„ამპირი"** თეატრი

ხუთშაბათიდან 7 იანვრიდან ნაჩვენები იქნება

საშკა სემინარიელი

მეოთხე სერია (რუსი როკამბოლი). ნაწილი 1. ციმბირიდან გამოქცევა. 2—პასპორტის ძიება. 3—მე ვარ ავერა უმაღლესი მარკისა. 4—მაძებარი პოლიციის ხელში.

მშვენიერი ახალი კედლის კალენდარი 1916 წლ.

შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის სურათებით.

გამოცემული **პ. ოცხელის** და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

ღირს სამი აბაზი.

გაზეთ **„შრომის"** თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული.

„სხივი"

კრებულში მოთავსებული იქნება ორიგინალურ-მხატვრული და კრიტიკული წერილები.

მონაწილეობენ: **მიხ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მიწიშვილი, გ. მუმლაძე, ილია ნაკაშიძე, გიგო ნათაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო ა. შენგელაია** და სხვ.

აგრეთვე მოთავსებული იქნება **გიგა ჯულელის** დაუბეჭდავი წერილები.

ფასი კრებულისა სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიათ კრებული წინდაწინ დაიკვეთონ.

მისამართი: ქუთაისი, ოზორინის ქუჩა, ნაფიცი ვექილი ივანე პავლეს ძე გობეჩია.

წიგნი დაიბეჭდება ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთ. განყოფ. სტამბაში.

ხელის მომწერთა

საყურადღებოთ:

გაზ. „სამშობლოს" ხელის მომწერთ ვსთხოვთ 1916 წ. გაზეთის დასაკვეთი ფული დროით გამოგზავნონ. ადგილობრივ ხელის მომწერთაგან ფული წარმოდგენილი უნდა იქნეს პირდაპირ კონტორაში, სადაც მიიღებენ სათანადო კვიტანციას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა პასუხს არ აგებს.

ექიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების იღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. მელიქსანდროვის ქ. **საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, **№ 70,** სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი **ზ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ქალაქის თავის დ. ა. [illegible] სახლი. თ.

მასაჟით საექიმო კურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ცხობ სახეზე: მუწუკებს, ხალებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაოჭებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას. ამასთან ვუკეთ [illegible] და აგრეთვე **ნაყდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატოს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქატოის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—8 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: [illegible], ლოროთ ქიქვანიძისსახლი. თ

მსოფლიო ომი.

როგორც წინადაც იყო ნათქვამი კავკასიის ასპარეზით მოქმედება განცხოველდა. ოსმალონი ამოძრავდენ. ადვილი შესაძლებელია მათ ახალი მაშველი ჯარები მოუვიდათ და ეს აფიქრებს ფართო შეტევის დაწყებას რუსეთის დასავლეთის ასპარეზზე კი მდგომარეობა ისევ გამოურკვეველია. სამხრეთის რაიონს ორივე მოპირდაპირემ თითქმის თავი მიანება. სამაგიეროთ მდგომარეობა იცვლება ჩრდილო რაიონში. გარდა გერმანელების პაეროპლანთა ჩვეულებრივი ფრენისა, ამ ფრონტზე აღსანიშნავია საარტილერიო სროლა რიგის სამხრეთით და ფრიდრიხშტადტისა და ილუკსტის რაიონში. ჩანს, გერმანელებმა ახლა სიმძიმის ცენტრი ჩრდილო რაიონში გადმოიტანეს და ცდილობენ აქ ფრონტის გარღვევას. დემონსტრაცია არის ეს, თუ ფართო ოპერაციის დაწყება, ამას სულ ახლო მომავალში დავინახავთ. ერთ-ერთ მიმოხილვაში ნათქვამი გვქონდა, რომ ავსტრიის ჯარი ყოველის მხრიდან გარსერტყმის ჩერნოგორიის ჯარს და ჩერნოგორიის საფრთხე მოელისთქვა. ახლა უკვე გარკვეულათ გადმოგვცემს მოსული დეპეში, რომ ჩერნოგორიის ჯარი მტერს უკანასკნელ წინააღმდეგობას უწევს. ჩერნოგორელებს მიუტოვებიათ სატახტო ქალაქი ცეტინიე თავისთავათ ქალაქის დაკარგვა ბევრს არ ნიშნავს, თუ ცოცხალი ძალა გადარჩენილი იქნება, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ჩერნოგორიის ჯარი შუაშია მომწყვდეული, მტრის დიდძალი ჯარი მას გარს შემორტყმია, ახლა ან უნდა დანებდეს და ან სრულიად განწყდეს ცნობა არის ამასთანავე, რომ ამ ჯარს საკვები სრულიად აღარ მოეპოვება. მშიერ ჯარს კი რა წინააღმდეგობა შეუძლია გაუწიოს! ამ ნაირათ დღეიდან ჩერნოგორიაც აღებულათ უნდა ჩაითვალოს მისი აღება მტრისთვის დიდს სტრატეგიულ პლიუსს არ წარმოადგენს, მაგრამ ერთის მხრით დიდია. ამის გამო გამოწვეული მორალური გამარჯვება, მეორეს მხრით ავსტრიას საშუალება ეძლევა მტკიცეთ დამყარდეს ადრიატიკის ნაპირზე და მესამეს მხრით კი მას უთავისუფლდება ბალკანეთში მომქმედი ჯარი. ამ ჯარს რასაკვირველია ის ჯეროვანათ გამოიყენებს და ან იტალიისა და ან რუსეთის საწინააღმდეგოთ გაგზავნის ვინც თვალს ადევნებს იტალიის ასპარეზზე ბრძოლებს, ავსტრიის იქით ჯარის გაგზავნა არ დაჰირდება. დღესაც, რვა თვის შემდეგ, იტალიის ჯარი იმავე ადგილას სდგას, სადაც რვა თვის წინათ იდგა. ამნაირათ იტალიის ასპარეზი ავსტრიისთვის იმდენათ საყურადღებო და საშიში არ არის, როგორც რუსეთის. მისთვის საჭიროა რუსეთის ასპარეზზე სარნი-კოველის ხაზზე დამკვიდრება და ჩერნოვიცის მხრიდან უზრუნველყოფა. ამისთვის ახლა მას საშუალება ეძლევა ბალკანეთში გათავისუფლებული ჯარი გამოიყენოს.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 4 იანვარი. ოფიც. დასავლეთის ფრონტი. გერმანელების პაეროპლანებმა კურტონგოფისა და დვინსკის თავზე გადაიფრინეს. პლაკანენის რაიონში, რიგისა [illegible] კეკენხუზენის სამხრეთით და ფრიდრიხშტადტ სა და ილუკსტის ჩრდილო-დასავლეთით საარტილერიო სროლა იყო. წარმატება ჩვენს არტილერიას ჰქონდა სოფელ ლავრენცისა და დუბელიშეკის რაიონის წინააღმდეგ დვინსკის ჩრდილო დასავლეთით.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალებმა ორჯერ შეუტიეს მდ. არხავის მარჯვენა ნაპირზე, გადმოსვლას მაგრამ ორივეჯერ მოგერებულ იქნენ. 2 იანვარს მომხდარ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 167 ჯარის კაცი, იხელთა საომარ იარაღის საწყობი სიტოუტში, ქალაქ ხოროსანის ჩრდილო—დასავლეთით ერთი მილიონი თოფის პატრონი და რამდენიმე ათასი ყუმბარა.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

სესხით მომადლიერება.

ათინიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთმა თანხმობა განაცხადა საბერძნეთს სესხათ 10 მილიონი ფრანკი მისცეს.

ისევ ძველი გზით.

ლონდონსა და შორეულ აღმოსავლეთს შორის კავშირი ისევ ძველი გზით თუ შეიძლება აღდგენილ იქნას. იაპონიის სანაოსნო კამპანიამ თავის გემების რეისი სულ ერთიანათ შეცვალა:

ახლა ხომალდები ხმელთა შუა ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავების შიშით ვეღარ უბედავენ გასვლას. ამიტომ ზღვით მოგზაურობა ლონდონიდან ახლა აფრიკის ძველი გზით ხდება. გემები სამხრეთ აფრიკის კონცხს—კეთილ იმედს—შემოუვლიან და ასეთი შორეული გზით ჯერ ინდოეთის ოკეანეს გადაჭრიან და ბოლოს წყნარ ოკეანეს ნაპირებს მიაღწევენ. სულ მგზავრობას 46 დღე უნდება. სწორედ ამაზე ითქმის: შორს გზით მოიარე და შინ მშვიდობით მოდიო. ომმა ვასკოგამას გზა მოაგონა ინგლისს!

ზავის გარშემო.

შვეიცარიის „სახალხო კრებაში" სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა შემდეგი შეკითხვა: „აქვს თუ არა განზრახვა საკავშირო საბჭოს სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან „შეეცადოს ზავის ჩამოგდებას?"

შეკითხვა მხცოვანმა გრეილიხმა დაასაბუთა. „ჩვენ—განაცხადა მან—ნამდვილი ნეიტრალიტეტისა და სრული სოლიდარობის მომხრე ვართ. 1870 წელს ბებელი და ლიბკნეხტი შეეცადენ სედანის ბრძოლის შემდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტას. ახლა ჩვენ მოწამე ვართ უსაშინლესი ომისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ომის ველზე რამოდენიმე მილიონი ადამიანი იბრძვის, რამოდენიმე მილიონი ჯერეთვე მოკლეს და დასჭრეს, მშვიდობიანი მცხოვრებნი განდევნეს ბელგიიდან, ჩრდილოეთ საფრანგეთიდან, პოლონეთ-ლეტვიიდან და სხვ. ხაზინა სისხლიდან იცლება. ჯერეთვე ომზე დაიხარჯა 130—150 მილიარდი. ნუ თუ არ დადგა მომენტი, რომ ნეიტრალურმა ქვეყნებმა ხმა ამოიღონ და ზავის ჩამოგდებას შეეცადონ?

ინტერპელიაციაზე მთავრობის მხრით პასუხი გასცა ჰოფმანმა: „ჩვენ კარგათ გვესმის შვეიცარიისათვის ზავის საჭიროება. თუმცა ჩვენ ომში მონაწილეობას არ ვიღებთ, მარა ძლიერ ვიტანჯებით ომისაგან. მაგრამ ამ ხანათ ჩვენ არ შეგვიძლია ზავის ჩამოგდებაზე ვიზრუნოთ, ვინაიდან არც ერთი მხარე არ გრძნობს ზავის აუცილებლობას, ხოლო როცა მომენტი მომზადდება ჩვენც მზათ ვიქნებით".

ქ. ქუთაისი, 6 იანვარი.

„სინათლის" საქალებო სკოლა. ყოველ გვარ ჯგუფურ მოსაზრებისა ტ გულისთქმის გარეშე, ყველა ქართველისათვის არსებობს ერთი დიდი სალოცავი, დიდი ტაძარი, სადაც დაღალულ ქართველს—დღევანდელ დამცირებულსა და თუ გნებავთ გადაგვარებულ ქართველს—შეუძლია თამამად შევიდეს და გული მოიოხოს, საიდუმლოებანი თავისი ტანჯვა-წვალებისა ანდოს თავის ღმერთის წინაშე და ღმობიერებისა და შენდობის ტკბილ-მწარე ცრემლი დაღვაროს.

ეს სალოცავი, ეს ტაძარი არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო.

მართალია, უკუღმართ დროთა ვითარებისა და აღზრდის გამო—იმ აღზრდის გამო, რომლის მეოხებითაც პატარაობითვე ვშორდებით მშობლიურ კერას, ვივიწყებთ ჩვენ წარსულსა და აწმყოს, ცთომილი ვარსკვლავივით ვშორდებით მშობელ—კერას და უცხოელნი სხვის ხელფეხათ თუ არ გადავქცეულვართ, ვცხოვრობთ ისე ალალბედზე,—მაგრამ თითოეულ ჩვენთაგანში მაინც არის დარჩენილი მცირე საქართველოს წარსულის ცხოვრებისა, ჩვენ მაინც უხილავის ძაფებით გადაბმული ვართ ჩვენ წარსულთან, ჩვენ ისტორიასთან და საკმარისია ცხოვრების პირობებმა ცოტა მაინც შეგვიწყონ ხელი და მყისვე გადაიფურჩქნება დღეს დაჟანგებული გული ქართველისა და ისევ ძველებურად, ვაჟკაცურათ დაიწყებს იგი ძგერას.

ქართველი კაცის გული ჰგავს იმ ნაპერწკალს, რომელიც ჩაფლულა ნაღვერდალში. საკმაოა, წამოუქროლოს პატარა სიომაც კი, გადაჰყაროს ზედ წაყრილი ნაცარი და ნაპერწკალი იგი იქცევა ნაკვერჩხლად, ნაკვერჩხალი იგი აინთება ცეცხლად და ცეცხლი იგი ამოსწვავს ყოველივე სიგლახეს ჩვენის, დღეს გაციებულ, გულიდან. ასეთი სიო, ასეთი ჩვენი მხსნელი კი არის ეროვნული აღზრდა, ეროვნულ ნიადაგზე კვლავ შედგომა.

როცა ჩვენი მოზარდი თაობა გაეცნობა სიტკბოებას თავისის ენისას, სიდიადეს თავისის წარსულისას, დამცირებას თავისის აწმყოსას და გზებს თავისი უკეთესის მომავლის შესაქმნელად, მაშინ სული მისი დაამსხვრევს ბორკილებს და ალო სიცოცხლისა მოითხოვს მისგან აქტიურ მოქმედებას. მაშინ ის მერცხალივით მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე ქალვაჟნი, რომლებიც განგებას, საქართველოს კალთაც ბუნებასა და ჰაერს სიმშვენიერის ხატებათ შეუქმნია, და რომელთა. სული და გულიც კნინდება უმგვანო აღზრდით—მყის გადაიქცევიან სულითაც მშვენიერებათ და, სიცოცხლე მათი ჩადგება ადამიანურ კალაპოტში.

ასეთი გარდაქმნა ჩვენი შეუძლია, ვიმეორებთ დაჟინებით, მხოლოდ მშობლიურ ნიადაგზე აღზრდას, მხოლოდ ეროვნულ სკოლას.

მაშასადამე, ის სასწავლებლები, სადაც ჩვენი ეროვნული სული ტრიალებს, უნდა გვიყვარდეს, როგორც ჩვენი თვალის ჩინი!

ერთი ასეთი სასწავლებელთაგანი არის ქუთაისის საზოგადოების „სინათლის" საქალებო სკოლაც.

დღეს ამ სკოლის სასარგებლოთ იმართება საღამო ქალაქის საკრებულოს (კლუბის) დარბაზში და ვისაც უყვარს თავისი შვილები, ვისაც უნდა მათი გაადამიანება, ვისაც უყვარს მომავალი თავისი ქვეყნისა, ნუ დაიშურებს თავის წვლილს და ამ წვლილის გაღებით გააძლიეროს ქონებრივი საშუალებანი პირველ საეროვნო საქალებო სკოლისა.

მეტს აღარას ვიტყვით! ან კი სიტყვით როგორ გამოითქმის ის სიდიადე და სიკეთე, რომელიც თითოეულის ჩვენთაგანისაგან გაღებულ წვლილს შეუძლია მოუტანოს ქართულ ეროვნულ საქალებო სკოლას.

ქართული პრესა.

თბილისის საქალაქო არჩევნებისადმი ჩვენი სოციალისტური პარტ[illegible]კის შესახებ გაზეთი [illegible] სწერს:

„თუ მართლა რომ მომენტურმა ეროვნულმა საფრთხემ ყველა დაწინაურებულ და განვითარებულ ერებ-სახელმწიფოებში ეროვნული დარაზმვა მოახდინა, ყველა შეაერთა, ეროვნული იდეა გაამეფა და ყველაფერი მას დაუმორჩილა, თუ ისიც მართალია რომ საქართველო საერთოდ და მასთან მცირე პროპორციით, კერძოდ თბილისიც, გამუდმებით ეროვნულ განსაცდელსა და ხიფათშია, მართლა და იმპერატიულად სავალდებულო უნდა იყოს თუ არა საქართველოში ეროვნული იდეის მუდმივი მმართველობა და მბრძანებლობა, სავალდებულო უნდა იყოს თუ არა ყველა წოდებისა, კლასის და მიმართულების კავშირი, სავალდებულო უნდა იყოს თუ არა კლასიურზე, წოდებრივზე და პარტიულზე ეროვნულის გაბატონება?! კლასიური და [illegible] არ უნდა არღვევდეს, არამედ უნდა მორჩილად შეეხამებოდეს და განამტკიცებდეს ეროვნულს.

ყველა ნათქვამის ძალით, ჩვენში გამუდმებით უნდა არსებობდეს მტკიცე ეროვნული დარაზმულობა ისეთ მოქმედებისა და ისეთ ნებისყოფის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენთვის ეროვნული შევიწროება და დამხობა მოაქვს. ასეთი დარაზმულობა სჭირია ქართველობას აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქის არჩევნებში.

ქართველი სოციალისტები წინააღმდეგ ჩვენი ეროვნული სინამდვილის მოთხოვნილებისა, წინააღმდეგ ლოღიკისა და გონიერების ვალდებულობისა, თბილისის არჩევნებში ეროვნულ დარაზმულობის პრინციპს ებრძვიან, ეროვნულ გათიშულობას აყენებენ; ეროვნულ პრინციპს მათ დემოკრატიის პრინციპს დაუპირისპირეს; თავისიანებს გამოეყვნენ და უცხო ელემენტებთან კავშირს რჩეობენ. ასეთი ანტიეროვნული მოქმედება, სოციალიზმის და დემოკრატიზმის ან ყალბად გაგების ბრალია, ან კიდევ თვით ამ პრინციპების ორგანიული ნაკლი.

ხოლო ჩვენ ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს, კიდევ ერთხელ, ვიდრე გვიან იქნებოდეს, მოუწოდოთ ქართულ სოციალისტურ პარტიებს ეროვნული ბლოკის შესაკრავად თბილისის არჩევნებში იმ ერთად ერთ ეროვნული პოლიტიკის საწარმოებლად, რომელსაც ჰქვიან აქტიური, ეროვნული ბოიკოტი და რომლის აუცილებლობა, როგორც ეს საქართველოში დავასაბუთეთ, დღევანდელი უმზგავსო საარჩევნო წესების ბატონობის დროს, ყველასათვის ცხადი და აშკარაა."

ძველი და ახალი წელიწადი.

ნატ. ანჯაფარიძის კანტორაში.

ახლანდელ მეორეთ მოსვლის ჟამს, რომლის წინა მორბედათ და ანტიქრისტეთ ვილჰელმსა სთვლიან, ვისა სძინავს ტკბილათ და მოსვენებით, მე რომ დამძინებოდა.

ყველა და ყოველ ღამ აღბორგებული წევება და ძილიც აღბორგებული აქვს.

მეც ასე დამემართა ახალი წლის მოლოდინში: მთელი ღამე სიზმრებმა წამიღო.

დამესიზმრა, რომ პირისხლიან ძველ წელიწადს სიკვდილის ზარმა უკანასკნელად დაურეკა: ორი სამი საათი-ღა რჩებოდა სულის ამოსვლამდი და ამიტომ იჩქაროდა—ანდერძი დაეწერა, დაემტკიცებია და თავის ავი და კარგი მონაგარი მემკვიდრისათვის გადაეცა.

მობრძანდა მოძღვარი, მოვიდა ორი ნატარიუსი: ანჯაფარიძე და კოკოჩაშვილი, მესამე—აბდუშელიშვილიც უნდა მოსულიყო, რადგანაც მთელი სამკვიდრებელი პატივცემულ მოხუცს სამ დარგათ გაეყო:

დარგი გონებრივი და პოლიტიკური,
დარგი ნივთიერი და ეკონომიური,
დარგი მორალური და რელიგიური,

პირველი დოვლათის შესახებ ანდერძის სიგელი ანჯაფარიძეს უნდა შეედგინა, მეორის შესახებ—კოკოჩაშვილს, მესამისა-კი აბდუშელიშვილს.

მოწმეებიც გამოცხადდენ.

ნატარიუსებმა და უფრო კი მოწმეებმა ახალი, გადიდებული სასყიდელი მოითხოვეს.

იწყინა მოხუცმა და აკანკალებული ხმით წარმოსთქვა: თქვა, მამაცხონებულებო, პურში ხომ არ იჯიქით? ძლიერ მაოცებს თქვენი საქციელი! როგორ ვერ გაიგეთ, რომ აღარაფერი არ გამაჩნია: ყველაფერი ამ უმაგალითო ლაშქრიანობამ შთანთქა და გადამიყლაპა; თუ უსასყიდლოთ შემიდგენთ, ხომ კარგი, თუ არა და-მე თქვენი მოსაცემი კი არა და სამარხიც არა მრჩება რა: ვაი, თუ ფრინველთა და ნადირთა შესაჭმელათ გადამაგდონ ჩემმა ჭირისუფლებმა.

სამწუხარო უფრო ისაა, რომ ფრინველნი და ნადირნიც ვერ მოიცლიან ჩემთვის, რადგანაც ვებერთელა გაშლილ ფრონტებზე დაყრილ ახალგაზრდათა ლეშიც საკმაოთ აქვთ და კიდევ დიდხანს არ გამოელევათ, ამიტომ, შესაძლებელია, ავყროლდე და ქვეყნის საწყევარი შევიქნე.

ამასთანავე გთხოვთ, როცა ჩემი მემკვიდრე მოვა, ჩემი გაკოტრების ამბავი არ უთხრათ, თორემ, შეიძლება მემკვიდრეობის მიღებაზე ისე თქვას უარი, როგორც დავალიანებული თავადის სეულობაზე მემკვიდრე—შვილი სიამოვნებით ხელს იღებს ხოლმე.

ნატარიუსებმა ერთმანეთს შეხედეს და აბდუშელიშვილის მოსვლამდე პასუხის თქმა გადადვეს.

— ჰა, ჰა, ჰა! არა, ბატონებო, თუ მწყალობთ, მანამდი გადაწყვიტეთ, თორემ ის რომ მობრძანდება, ვინ იცის, ძველი კაცია და, ეგება, სულ არ მენდოს! ნატარიუსები განცვიფრდენ.

ამასობაში მემკვიდრე ახალი წელიც შემობრძანდა.

უარესი განსაცვიფრებელი ამბავი მოხდა: ყველას ეგონა, რომ მემკვიდრე აღტაცებით და აღფრთოვანებით მიეგებებოდა ნატარიუსებისაგან დასამტკიცებელ ანდერძ; სამკვიდრებლის მიღება მემკვიდრეს გაახარებდა, თავისი მშობლის სახელის ასეთი ანდერძისათვის სალოცავად გაიხდიდა, კეთილად და პატივით მიეგებებოდა, მის ნამოქმედარს ხოტბას შეასხამდა, გამოთხოვებისას ტკბილსა და სამადლობელს სიტყვას ეტყოდა.

მაგრამ კიდევ უარესი საკვირველება მოხდა:

მთელი ქვეყნის მემკვიდრეობაზე ცივი უარი აქ განაცხადა ახალმა წელმა!

კარგი დაგემართოს, რომ უბრალოთ, სადათ, ზრდილობიანათ უარ ეყო მემკვიდრეობის მიღება. ისე უშვერი სიტყვით დაუწყო სულით მობრძავ მშობელს მისი წარსული ავხსენის, უსამართლობის, ძალმომრეობის, ზნეობრივი და ნივთიერი გაკოტრების მხილება, რომ ნატარიუსები, მოძღვარი და მოწმეები თავ-ბრუ დასხმულნი გაშტერდენ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მემკვიდრისაგან მადლობის მეტი არც უნახავთ, არც გაუგონიათ.

ამის შემხედვარე ერთმა მოწმემ მეორეს გადუჩურჩულა: ახალი წელიწადი ისეთ ზრდილობას იჩენს, თითქო ახლანდელ გიმნაზიაში კურს გათავებული იყოს...

— შენი მემკვიდრეობა ღმერთმა ნუ მოუშალოს ეშმაკსა და სატანას, წამოიძახა ძალით მემკვიდრემ: მე რათ მინდა დავალიანებული და გაკოტრებული ხალხები და სახელმწიფოები! აბა ნახეთ სამხედრო ხარჯების სტატისტიკაში: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია და ჩვენი რუსეთიც კი ას და ათას მილიარდი ვალებით არიან დასაპალნებული.

მიბრძანე, ვინ და როდის უნდა აზღოს მათ ეს მილიარდები? საიდან და რით უნდა განაღდდეს ამოდენა წყალში გადაყრილი ოქრო და ვერცხლი? ვისი ჯიბიდან უნდა ამოვიდეს ამის გასასტუმრებელი?

აბა მიბრძანე, ვინ გყავს მადლიერი შენი საქმეებისა? მიბრძანე ვინ გეთხოვება სიცილ-მხიარულებით?

პირიქით, სტირის დედ-მამა, სტირის ცოლი და შვილი, სტირიან ნათესავენი ბრძოლის ველზე მილიონობით მეომართა და დახოცილთა მოკალაქეებისა.

ეგება იმითი მოგაქვს თავი, რომ იციან მხოლოდ ანგარი „ჟვაჰარ-ფოდრაჩიკები" და ქურდი ჩინოვნიკები, რომელნიც ხაზინის ღარიბთა და ლატაკთა ჯიბიდან ამოღებულ ფულს უანგარიშოთ აბნევენ და ინახვენ კიდეც იმ დღისთვის, როცა მხოლოდ მათ ექნებათ საფუძველო საშუალება, სხვა კი შიმშილის სიკვდილის პირს იქნება მიმდგარი.

ასეთი მომავლის შემხედვარემ „როგორ უნდა მივიღო შენ და შენ მამა პაპათაგან გატიალებული სოფელ-ქვეყანა."

თავი მოგქონდათ მეცნიერებით, პოლიტიკით და დიპლომატიით!

მეცნიერება! რა მეცნიერებაა ის მეცნიერება, რომელიც ადამიანს ბედნიერებას ვერ მიანიჭებს? რა მეცნიერებაა ის მეცნიერება, რომელიც, სულის სიმშვიდის [illegible] ერთი ადამიანის სულსა და გულს მეორის შესაჭმელათ აღძრავს?

განა გერმანეთის გონებას საამპარტავნოთ არ ეყოფოდენ შილერი, გოტე, კანტი და ჰეგელი? მაინც ძ მაინც ცეპელინები, წყალქვეშა ნავები და სულის მხუთავები უნდა გამოეგონა, რათა მილიონობით მოყვასთა სიცოცხლე გაეწირა!

რა საჭირო იყო სპენსერისა და შექსპირის მშობელ ქვეყანას მაინც და მაინც დრედნოუტებით არ ავსო ოკეანეები და, ამით თავი არ მოეწონებია!

რა საჭირო იყო, მაინც და მაინც საფრანგეთისა და რუს... მაგრამ აქ შევჩერდები და გადავალ დიპლომატიაზე.

დიაღ, დიპლომატებისათვის შენ და შენ მამაპაპებს ტყუილების მეტი არაფერი გისწავლებიათ? მათ ენა პირში მიტომ ჩაუდევით თურმე, რომ მხოლოდ ის ელაპარაკნათ, რაც გულში არა ჰქონდათ, რომელიც უფრო მოხერხებულათ იტყოდა სიცრუეს, რომელიც უფრო გაუგებრათ და დახლართულათ ილაპარაკებდა, ის მიგაჩნდათ გონიერ და სახელმწიფო კაცად და ახლა ხომ მოიმკო ქვეყანამ მათი უკეთური ნათესი!

ისინი ყოველთვის მალავდენ თავისს მიზნებს საგამოცანო მომავლისათვის, სანამ შემთხვევით ტყორცნილი ასანთი არ გამოიწვევდა აფეთქებას რომელიმე მხარისკენ და ასეთი მდგომარეობა ხომ უარყოფაა გონიერი პოლიტიკისა, ასეთი დიპლომატია სახელმწიფო საქმეს ხომ ბედის წყრას უმორჩილებს, იღბალზე აგდებს.

პროფესიული დიპლომატები, რომელნიც საერთაშორისო კაბინეტების საქმეებს განაგებდენ, თავისებურათ გვიხატავდენ ევროპის მდგომარეობას.

იმათი ლოზუნგი ძველი თქმულება იყო: si pacem vis parabellum. თუ მშვიდობა გინდა, ომისათვის ემზადეო.

და აი მოეწყო შეიარაღებული მშვიდობიანობის შექმნა, მშვიდობიანობის იმედი. მაგრამ იგი იმედი ძვირათ დაუჯდა ევროპას.

არმია მილიონობით საომრათ ფეხზე იდგა მთელი 30 წელიწადი და სისხლის სადღეგრძელოდ მოწოდებას მოელოდა. ხალხის ოფლით მონაგარი საშუალება იფლან-

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს საზ. საკრებულო დარბაზში დანიშნულია საღამო „სინათლის" საზ. [illegible] გასაძლიერებლათ. საღამოზე მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

◆ 30 დეკემბერს, ქუთაისის მეპურეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გამგეობის წინაშე პურის ნიხრზე ფასის მომატების შესახებ, რადგან მეფქვილეები ძლიერ აძვირებენ ფქვილს.

◆ დღეს, ქალაქის თეატრში ვალ. გუნიას მონაწილეობით წარმოადგენენ შექსპირის ტრაგედიას „მეფე ლირს". ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

◆ სოფ. ლადიშში, რაჭის მაზრაში, მასწავლებელმა დავით გაჩეჩილაძემ თავი მოიკლა. მიზეზი ცხოვრებით უკმაყოფილებაა.

◆ მეფქვილე მოშიაშვილი აცხადებს, რომ 15 იანვრამდის მას შეუძლია თავისი ფქვილი ნიხრზე 15 კ. ნაკლებ დაუთმოს მეშოკე.

◆ ხვალ დღეს წარმოადგენენ „ბედის ტრიალი" „ეჭვით ავათმყოფი" და „რაც არ მერგება, არ შემერგება".

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი ორკვირეული ჟურნალისა „ცხოვრება". ჟურნალი შინაარსიანია.

◆ აგერ წელიწადია უგზო-უკვლოთ დაიკარგა ავსტრიის საზღვარზე მყოფი ჯარის-კაცი გრიშა გავაშელიშვილი. მისი ნათესავები სთხოვენ ყველას, რომელნიც მასთან იმყოფებოდენ, მიაწოდონ მის შესახებ ცნობები. მისამართი: ქუთაისი. ...რქიერის გორა. საკუთარი სახლი.

◆ სანიტარულმა ექიმმა ს. დადუნაშვილმა და ილია ჩაჩანიძემ გუშინ დაათვალიერეს ვორონცოვისა და აფთიაქის ქუჩა—ეზოები და უსუფთაობის გამო ბევრს ოქმი შეუდგინეს.

◆ ქუთაისის ვაჭრებს შაქარი უკვე მოუვიდა.

ქუთ. მომხმ. საზ. „კოოპერაციის" ქრონიკა.

◆ ქუთ. მომხმ. საზ—მ გადასწყვიტა, სუხარი გაუგზავნოს გენერალ ლიახოვს, კავკასიის მომქმედ ჯარისათვის.

◆ ამავე საზოგადოებამ 3 იანვრის კრებაზე გადასწყვიტა მოიწვიოს კოოპერატიულ ფურნის გამგეთ ნაცვლათ სულია რამიშვილისა, რომელიც აქამდე უსასყიდლოთ ემსახურება მომხმ. საზოგ. და ახლო. ხანში პეტროგრადში მიემგზავრება—იასონ ჯორბენაძე.

◆ რადგან საუკეთესო ფირმების ფქვილი ...ი პარამონოვის-რიისის ქუთაისში არ იშოვება, კოოპერაციის გამგეობამ ერთხმათ დაადგინა: ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას, რათა მან კოოპერაციას თავის სახელზე გამოუწეროს ფქვილი და აგრეთვე მიეცეს მას (კოოპ.) ნარიადი ვაგონებისა, ფქვილის მოსატანათ.

მოხსენება.

ქართული ენის მართლწერის მკვლევარის სერგო გორგაძისა.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ სიცოცხლე გამოიჩინა და ქართული ენის მოყვარულთ ორი მეტად სასიამოვნო და დიდად სასარგებლო საღამო გაატარებინა.

მე მოგახსენებთ იმ საღამოების შესახებ, რომლებზედაც უკვე ცნობილმა მკვლევარმა და ისტორიკოსმა სერგო გორგაძემ თავისი მოხსენება წაიკითხა „ქართული ენის მართლწერის შესახებ."

სამ იანვარს, საღამოს რვა საათზე, ქუთ. ეთნ. საზოგ. გამგეობის მოწვევით, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, შეიკრიბა საკმაო რიცხვი ქუთათურ ინტელიგენტთა და ახალგაზრდობისა, ბ-ნ გორგაძის მოხსენების მოსასმენათ.

ყველას დიდი ინტერესი ეტყობოდა, მით უმეტესს, რომ ამ მოხსენების შესახებ ბევრი რამ გაეგონათ. სრულ რვა საათზე ბ-მა გორგაძემ დაიწყო გადმოცემა თავის მოხსენების შინაარსისა.

მაგიდას შემოსხდომოდენ წევრნი ქუთ. საეთ. საზ. გამგეობისა. შუაში იჯდა პატივცემული მომხსენებელი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა, ტანმორჩილი, მაგრამ ჯანსაღი აგებულობისა. მისი მაღალი შუბლი, არწივისებური ცხვირი და დიდრონი სიცოცხლით სავსე თვალები მოწმობდენ რომ ეს ყმაწვილი სახუმაროთ არ გამკლავებია ქართული ენის დღევანდელ არეულ დარეულ მართლწერას და უეჭველად ახალსა და სასარგებლო რამეს იტყვისო.

მართლადაც ბ-ნ გორგაძის მოხსენება ისეთი შინაარსიანი და საყურადღებო აღმოჩნდა, რომ დამსწრე საზოგადოება მთელ ოთხ საათს სულ განაბული უსმენდა.

როგორც მოგეხსენებათ ქართული მართლ-წერა მეტის მეტათ არეულია. ნასწავლსა თუ უსწავლელს, დიდსა თუ პატარას თავისი განსაკუთრებული „გრამატიკა" აქვს და ჩვენში ყველა თავისებურათ სწერს. „თ,"—და „დ,"—„ჳ" და „ნ," „ნენ." და „დნენ" დალაგება სიტყვებისა და წინადადებებისა, სასვენი ნიშნები და სიტყვათა დაბოლოვებანი, ისე არიან დღევანდელ ქართულ წერაში არეულნი, რომ ადამიანი თავს ვერ გაართმევს მათ და უმეტესს შემთხვევაში ვერც დანამდვილებით გეტყვის, რომელია მართალი და რომელი—არამართალი.

ასეთი მდგომარეობა ქართულის წერისა ყველა შეგნებულ ქართველს გულს უკლავს და აი დადგა კიდეც დრო, როცა ბოლო უნდა მოეღოს ასეთ სივაგლახეს ქართული წერისას და ყველამ ერთი სახის წერა შემოვიღოთ.

ბ-ნ გორგაძის მოხსენება ძლიერი და უტყუარი ნაბიჯია ამ გზაზე გადადგმული და მისი ძვირფასი გამოკვლევა ბევრ რამეს გვასწავლის და ბევრ რამესაც მიგვახვედრებს.

თავის დებულებათა ოთხი საათის მტკიცებისა და დასაბუთების შემდეგ ბ-ნმა ს. გორგაძემ ასეთი დასკვნა გამოიყვანა: (მოგვყავს სიტყვა სიტყვით).

„ჩვენ განვიხილეთ—ბრძანა რეფერენტმა—**წმინდა ფონეტიკური პრინციპი** ქართულ მართლწერაში და დავრწმუნდით რომ იგი შეუწყნარებელია არსებითად და გამოუსადეგარია პრაქტიკულად. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ამ პრინციპის შეზღუდვა, საკუთარ ფარგალში ჩაყენება და სხვა მტკიცედ განსაზღვრულის პრინციპების გამონახვა.

ჯერ-ჯერობით ჩვენმა ძიებამ შემდეგს რვა პრინციპზე მიგვიყვანა (თავი II):

1. გრაფიკულ ფონეტიკური პრინციპი.

ყოველი მარტივი ბგერა უნდა გამოიხატოს მისი შესაფერისი ერთი ასოთი (არც მეტი, არც ნაკლები) და რომელი ბგერაც გამოთქმაში არ არსებობს ის არც მწერლობაში უნდა იყოს. სწორედ ამიტომ უნდა აღდგენილ იქნას ნახევარხმოვანი ჲ ისეთი სიტყვების დასაწერად რომლებშიაც ეს მარტივი ბგერა ისმის და სრულ ი-ნად არ გადაქცეულა.

2. ეროვნული პრინციპი.

ჩვენი სალიტერატურო ენა ეროვნული ენაა და როგორც ასეთი იგი ერთი და საერთო უნდა იყოს ყველა ქართველი ტომისათვის, ამიტომ მართლწერაშიაც სასტიკად უნდა დაცულ იქნას ფორმათა ერთსახეობა.

3. ევოლიუციონური პრინციპი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული მკვდარი ენა როდია, იგი ცოცხალი ერის ცოცხალი ენაა და ამიტომ მწერლობაშიაც ცოცხალ ფორმებს უპირატესობა უნდა მიეცეს მკვდარი ფორმების წინაშე.

4. კულტურული პრინციპი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის საფუძველი, ძველ ქართულთან ერთად, ორი მთავარი კილოკავია: ქართლ-კახური და იმერულ-გურული, როგორც ცოცხალი კილოკავები ქართველი ერის უკულტურესი ტომებისა; ამიტომ, რომელი ფორმაც ამ ძირითად კილოკავებში დღეს ცოცხალი აღარაა, ასეთი ფორმა არც სალიტერატურო ქართულში უნდა შემოვიტანოთ.

5. ისტორიულ-გენეტიური პრინციპი.

როგორც ისტორიულ ერს, რომლის აწმყო ხილულის და უხილავის ძაფებით შეკავშირებულია მის კულტურულ წარსულთან, ჩვენ ქართველებს არ შეგვიძლია—სრულიად მოვსპოთ, კავშირი ჩვენს კულტურულ წარსულთან, არ შეგვიძლია ხელაღებით უარვყოთ ყოველი ტრადიცია რომელიც ჩვენს წარსულთან გვაკავშირებს; და რადგან სამწერლო ეროვნული ენა ერთი იმ ელემენტთაგანია რომელიც ერის აწმყოსა და წარსულს ერთმანეთთან აკავშირებს ამიტომ უნდა ვეცადოთ, რამდენადაც კი შეხაძლოა, ძველსა და ახალს სალიტერატურო ქართულთა შორის კავშირი არ მოისპოს; ამიტომ: ა) როცა ზემოდასახელებულ ორ ძირითად კილოკავში კიდევ ცოცხალია რომელიმე ძველი ფორმა, რომელსაც სალიტერატურო ტრადიციაც მუდამ მხარს უჭერდა და დღესაც უჭერს, მწერლობაში უპირატესობა ამ ძველ ცოცხალ ფორმას უნდა მიეცეს მის საბადლო ახალი ფორმების წინაშე რაგინდ ეს უკანასკნელნი დიდად გავრცელებულნიც იყონ. ბ) მაგრამ თუ იმ ძველ ცოცხალ ფორმას სალიტერატურო ტრადიცია დიდი ხანია მხარს აღარ უჭერს, ან უკეთუ ძველი ფორმა ამ კილოკავებში ცოცხალი აღარაა და მის სამადლოთ ორი ან მეტი ცოცხალი ფორმა მოიპოვება მაშინ მწერლობაში უპირატესობა უნდა მივსცეთ იმ ცოცხალ ფორმას რომელიც გენეტიურად უფრო ახლოა ძველ მკვდარ ფორმასთან.

6. მორფოლოგიური პრინციპი.

მაგრამ როდესაც მარტო ისტორიულ-გენეტიური პრინციპით ახალ ცოცხალ ფორმათა შორის არჩევანის მოხდენა შეუძლებელია (ან გართულებული და გაძნელებულია) მაშინ ისტორიულ პრინციპს გვერდში უნდა ამოვუყენოთ მისი შემცვლელი უფრო ფართო მორფოლოგიური პრინციპი და უპირატესობა უნდა მივსცეთ მორფოლოგიურად სწორ ფორმებს დიალექტიურ-ფონეტიკური ფორმების წინაშე. ეს პატივისცემა მორფოლოგიურად სწორის ცოცხალი ფორმებისადმი ისეთის უდრეკელობით უნდა იქნას დაცული და გატარებული რომ, უკეთუ რომელსამე ცოცხალ ფორმაში **ხმდება** თავს იჩენს სიტყვის ფუძის ან ფლექსიის რომელიმე ბგერა, ეს ბგერა ამ ფორმაში დაწერითაც უნდა დაიწეროს თუნდაც იგი იმავე სიტყვის მონათესავე ფორმებში აღარც კი ისმოდეს. ხოლო, თუ ვინიცობაა, მორფოლოგიურად სწორი და სრული ფორმა აღარც ერთს ძირითად კილოკავში ცოცხალი აღარაა და მისი ადგილი აქ მის საბადლო ფონეტიკურ ფორმებს დაუჭერია, მაშინ უპირატესობა იმ ცოცხალ ფორმას უნდა მიეცეს რომელიც გენეტიურად უფრო ახლო დგას მორფოლოგიურად სწორ მკვდარ ფორმასთან.

7. კეთილხმოვანების პრინციპი.

მაგრამ როდესაც თვით მორფოლოგიურად სწორ ცოცხალ ფორმათა შორის არჩევანია მოსახდენი, მაშინ შეგვიძლია კეთილხმოვანების პრინციპსაც მივმართოთ და ორ ან მეტ სწორ ცოცხალ მორფოლოგიურ ფორმათაგან უპირატესობა ვარგუნოთ იმ ფორმას რომელიც ამა თუ იმ ფრაზაში ან ლექსში უფრო კეთილხმოვანი აღმოჩნდება. აგრეთვე როცა მორფოლოგიურად სწორი ფორმები ძირითად კილოკავებში დღეს ცოცხალი აღარაა და მათი ადგილი მათს ფონეტიკურს ეკვივალენტებს დაუჭერია, მაშინაც **არჩევანი** უმჯობესია კეთილხმოვანების **ნიადაგზე** გადავიტანოთ და უკანასკნელთა **შორის** უპირატესობა იმ ფორმას მივსცეთ, რომელიც უფრო კეთილხმოვანია (ე. ი. **სმენისთვის** სასიამოვნო და ადვილგამოსათქმელი) და იმავე დროს არც მორფოლოგიურს სწორ (მკვდარ) ფორმაზეა ძლიერ დაშორებული.

8. სინტაქსო-ლოღიკური პრინციპი.

მაგრამ კეთილხმოვანების პრინციპს შორს არ უნდა გავსდიოთ; არ უნდა დავივიწყოთ რომ ყოველი ენა უპირველეს ყოვლისა აზრების გამომხატავი იარაღია და არა გრძნობათა დამატკბობელი სამუსიკო ინსტრუმენტი; ამისდამიხედვით ენა იმდენად უფრო მაღლა დგას რამდენადაც ხელმიწვდენით სისწორით და ნიშანდობლივ ხატავს აზრის ყოველგვარ მიხვრა-მოხვრას, ცნებათა შორის არსებულს ლოღიკურს დამოკიდებულებას. ამიტომ თუ აღმოჩნდება რომ კეთილხმოვანების პრინციპით შეცვლილ-შეკვეცილს რომელსამე ფორმას შეუძლია ორაზროვნება ან რაიმე გაუგებრობა გამოიწვიოს მაშინ უმჯობესია—სრული (რასაკვირველია, ცოცხალი) მორფოლოგიური ფორმები ვიხმაროთ, თუნდაც ამით კეთილხმოვანებას ცოტაოდნად კიდევაც ევნოს, ოღონდ „აზრი იყოს სისწორით და ნიშანდობლივ გამოხატული."

დამსწრე საზოგადოება აღტაცებული ტაშისცემით მიეგება პატივცემულ მკვლევარს და რადგანაც დაგვიანებული იყო (ღამის 12 საათი), კამათი ამ მოხსენების შესახებ მეორე დღის, ე. ი. ოთხი იანვრის, საღამოს შვიდი საათისთვის გადაიდო.

გ—ა.

(შემდეგი იქნება).

უკანასკნელი ფოსტა.

პარიზიდან ცნობაა: ოსმალთა პოლიციამ აღმოაჩინა შეთქმულება ენვერ ფაშას წინააღმდეგ. ბევრი ოფიცრები დაუტყვევებიათ.

გერმანელებმა მძიმე ზარბაზნები დაუშინეს დაბა ლიახოვიჩს, (სლუცკის მაზრაში). მრავალი სახლი დაინგრა. დაჭრილ-დახოცილებიც ბლომადაა.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ ბულგართა ქვეითი პოლკი შეებრძოლა ბერძენთა მოწინავე რაზმებს ვეზერინის რაიონში და 6 საათის ბრძოლის შემდეგ რამდენიმე პუნქტი დაიჭირა.

სამხედრო წრეებში დაბ[illegible]უბიან, რომ ბულგარეთის საზღვრებზე პირველი სასტიკი ბრძოლა მოხდა მოკავშირეთა და ბულგარების შუა.

„ტაიმს" [illegible] დასკვნის მოწინავე წერილში, რომ მთაშავლეთს ეხლა ველარა უშველის რა, საბედისწერო წუთმა დაჰკრა და სერბეთის ბედს ვერ ავაცილებთო.

ათენიდან მოსული ექიმები ამოწმებენ, საბერძნეთის მეფე ამ ჟამად ავათ აღარ არისო.

როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, ლიბკნეხტს სოციალდემოკრატების ფრაქციისთვის თავი დაუნებებია. მიზეზად პარტიულ უთანხმოებას ასახელებენ.

ჩვენ შორის.

VIII.

გავიდა რამდენიმე დღე ახალი წლისა, დაიხარჯა აუარება სიმდიდრე ჭამა-სმა „ტკბილათ დამერებაზე"—დღევანდელი დღეც ისეთივე შეიქნა, როგორიც იყო გუშინდელი, გუშინწინდელი...., ამ ერთი თვის წინად. ახალი არც არა მოგვემატებიარა და არც არა მოგვემატებარა! იგივე საყვედურები, იგივე შტალ-დრიალი, იგივე დაუდევრობა, იგივე გაცრუებული იმედები!....

საკვირველი არსებაა ადამიანი, უცნაური თვისება—ხასიათისაა ქართველი კაცი!

ოღონც ალამარჯე, აიცნებე, ატრაბახე და სხვას მაინც და მაინც ბევრს არას დაგიდევს.

ჩვენმა უილაჯობამ და სხვის ხელის შემაყურებლობამ შეგვძლვნა ეს თვისებანი!

დრო კი არის, ღმერთმანი, ჩავუკვირდეთ ჩვენ ყოფნას და თუ მართლა საქმის გაკეთება გვინდა, დროით მოვაწყოთ იგი.

მოგეხსენებათ, რომ გარდა „ცნობილი მიმართულების ჯგუფებისა" ქუთაისში არსებობს არა ნაკლებათ ცნობილი ჯგუფი, ეგრედ წოდებულ ეროვნულ დემოკრატებისა.

ამ მიმართულებას დიდი რეალური ნიადაგი აქვს და დიდათაც სასარგებლო იქნება, თუ კი იგი სხვასავით ოცნებას არ გამოეკიდება და სიტყვას საქმედ აქცევს.

ამ დიდი საქმის გაკეთებას კი ბევრი არა სჭირია რა, გარდა წრფელი გულისა ნამდვილი შრომის მოყვარეობისა და სულ მცირე წვლილის გაღებისა.

და თუ კი ისეთები მოიპოვებიან ჩვენ შორის, მოვუწოდებთ მათ: მოგვეხმარენ, მოგვეშველენ და შეერთებულის ძალით შევუდგეთ მუშაობას ჩვენი ტანჯული ქვეყნის სასარგებლოთ და იმ დიდი ანდერძის აღსასრულებლათ, რომელიც რამდენიმე სიტყვაში გამოხატა დიდი ილიას დიადი ბუნების შვილმა—ხევსურმა—ჩვენ ჩვენ თავს უნდა ვეყუდნეთო...

ვისაც გაქვთ ყურნი სმენათ,—ისმინეთ.

ი. გ—ძე.

წერილი მეგობართან.

მდაბალი სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებაზე.

I.

ძმაო დომენტი! სურვილი მაქვს გაგიზიარო ჩემი აზრი და შეხედულება ამ დროის ჩვენი დაბალი სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ.

ნათქვამია: მწუხარებასა შინა მყოფი ადამიანი, როცა თავის პირ-ვარამს სხვასთან გაიზიარებს, მით რამდენიმეთ მაინც იმსუბუქებს მწუხარებას და, შეიძლება, ეს იყოს მიზეზი ჩემი ასეთი სურვილისა.

გებოდა სამხედრო საჭიროებისათვის. ეს საჭიროება წლითიწლად იზრდებოდა და მატულობდა. საშიშარი ომის მოჩვენება, რომელსაც ამდენი აუარებელი მსხვერპლი ეწირებოდა, ხალხებს ემუქრებოდა და მაჯლაჯუნასავით სულს უხუთავდა.

კარგი დაგემართოს, ვინღაა ჩააგდებდა რამე ამდენ მსხვერპლს, რომ იგი მართლა მშვიდობის მყოფელი გამხდარიყო.

მაგრამ, თურმე, ნუ იტყვით, ფარული იმედები და მოლოდინი მოსვენებას არ აძლევდა საფრანგეთის, გერმანეთის და ავსტრიის პატრიოტებს: თურმე თითოეული მათგანი მით კმაყოფილდებოდა, რომ ამ **მზადებით ანგარიშის გასწორებას გვეიანებდა მხოლოდ.**

საყოველთაო ომის შიშით საქმიან სახელმწიფო მოღვაწეებს შესახედავათ გარეგანი მშვიდობიანობის ფარგალში აჩერებდა, მაგრამ ამასთანავე ყოველივე გამოანგარიშებული იყო საბრძოლველათ. კაბინეტები კი თითქო მშვიდობიანობის და საურთიერთო თანხმობის პრინციპს ადგენ.

ერთი მხრით ამართული იყო შიში სისხლის ღვრისა, და მეორე მხრით მრისხანე და განუსაზღვრელი მზადება ომისათვის.

ეს ორმაგი მდგომარეობა ომსა და მშვიდობიანობას შორის იყო დამახასიათებელი სურათი ევროპის დიპლომატთა საქმიანობისა.

ყველას ეშინოდა და გაურბოდა ომს, მაგრამ ყველასა სწამდა მისი აუცილებლობა და კანონიერებაც კი.

ამასთანავე ოფიციალურ რუსეთს ევროპის დიპლომატებმა იდეალათ დაუსახეს ერთნაირი „slutu—quo-ს მუდამ ჟამ მტკიცედ შენახვა—ეს გახლდათ ის, რომ აღმოსავლეთში სათათრეთის უფლების ქვეშ უნდა ყოფილიყო საბერძნეთი და სლავიანები, დარდანელი და ბოსფორი.

ასეთი მდგომარეობა რუსეთის დიპლომატებსაც სავალდებულოდ მიაჩნდა და ახლა კი, როცა სერბეთის ინციდენტმა მისივე შემქნელი მშობელი წუთისოფელს გამოათხოვა, ამ პოლიტიკას ყველამ ზურგი შეაქცია და ის, რასაც სხვას აჩემებდენ, ახლა თვით იჩემებენ.

ეს არის, ჩემი მწყალობელი მამა, შენი და შენ მამა-პაპათა საამპარტავნო პოლიტიკა და დიპლომატია!?

არა, მე ვერ გავხდები მტირთველი იმ ცოდვებისა, რომელიც შენ წინაპართა გადმოგცეს და ტყვილა ნუ აცდენ ბ. ნატარაუსს, რომლისათვისაც „გონება-პოლიტიკის" შესახებ სიგელის შედგენა მიგინდვია.

სახტად დარჩა ბ. ანჯაფარიძე!; ულაშებში ჩაიცინა და კოკოჩაშვილს გადაულაპარაკა: გასამჯელოთ ისიც მეყოფა, რომ ევროპის დიპლომატიაზე ასეთი ლექცია მოვისმინე: მამა გაკოტრებული ყოფილა და შვილი ლატაკი იქნება, და ამათი სიგელის შედგენა მე არ შემიძლია; მივდივარ და ახლა შენს დარგში მოვისმენ უთუოდ ამ გვარსავე ვრცელს მხილებას, მეორე ამდუმელიშვილიც მოვა და თუ მამა შვილი შეთანხმდებიან, ანდერძს სამადლოთ შევადგენთ: თუ არა, ახალი წელი სამკვიდრებელს ვეღარ მიიღებს და არც მისი მემკვიდრე იქნება.

ქვეყანა უახალწლოთ დარჩება.

გამომეღვიძა და მეტად მეწყინა, რომ წელიწადიც ძველი იყო და ქვეყანაც მთელი.

რა უთხრა დანარჩენ ორს ახალმა წელმა' მეორე კვირისათვის შევინახოთ.

სამსონ ჭაფაანი.

შენი რა მოვახსენოთ და მე კი ჩვენს მღვდელმსახურებაში სამშვიდობოს ვერას ვხედავ. სირცხვილი კია და ვიცი, რომ არც არასაფერი ვაცხადობაა ეს, მაგრამ უნდა გულახდილად აღვიარო, რომ, თითქმის განუსაზღვრელ სასოწარკვეთილებას ვეძლევი, როცა ჩვენი სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებას ვაკვირდები, განა ამას წარმოვიდგენდი ამ ხუთმეტიოდე წლის წინად, როცა მღვდლობის ხარისხის მიღებას გატაცებითა და სიხარულით ვეგებებოდი! მეგონა, რომ სიმართლე და პატიოსანი სამსახური ამ წოდებაში უფრო დაფასდებოდა, მაგრამ სინამდვილეში კი სულ სხვა ვნახე. თანდათან ვრწმუნდები, რომ ყველგან და ყოველთვის სიმართლეს და კეთილ საქმეს ბოროტება თავისი ძალღონით წინ ეღობება და ბოლომდის სდევნის, თუ სათავეშივე ვერ მოასწრო მისი მოსპობა. ამისთვის, სიმართლის მიმდევარი ყველასაგან დაჩაგრულია. ბოროტი და ვაიძვერა ადამიანები კი წინ მიიწევენ და ყველასაგან დაფასებული არიან. ასეა ჩვენ წოდებაშიაც და ეს აქსიომად უნდა ჩაითვალოს. ამაზედ საუბარს აღარ გავაგრძელებ, მით უმეტეს, რომ შენც ჩემებრ ბევრი იმედებით იყავი გატაცებული, ბევრს სასარგებლო რამის გაკეთებას ფიქრობდი, მაგრამ მწარედ მოსტყუვდი... თვით სამღვდელოების შორის უკიდურესობამდის არის გავრცელებული ერთი მეორეს მტრობა, შურიანობა, სიხარბე, ვაიძვერობა, ჯაშუშობა და მრავალი ცუდი მიდრეკილებანი და ბოროტმოქმედებანი. ამიტომაცაა, რომ ხალხი ცუდის თვალით შესცქერის სამღვდელოებას. მასში ის ველარ ხედავს ქრისტეს მცნებების დამცველს და რა რიგად არ დასცინის, ათახსირებს და ამკირებს მას! ამ გვარ მის მოქმედებას საზღვარი არა აქვს, დამსახურებით თუ დაუმსახურებლად გაუგდია ფეხ ქვეშ და ძიძგნის მას. სამღვდელოებაც უმეტეს შემთხვევაში სდუმს, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს სიჩუმე თანხმობის ნიშნად მიაჩნია საზოგადოებას, თუმცა სამღვდელოებაზე გილაშქრება ზოგჯერ საფუძველს მოკლებულია, მაგრამ ის გულ-გრილობა, რომელსაც ამ შემთხვევაში სამღვდელოება იჩენს პირდაპირ დამღუპავია მისი, იმიტომ, რომ, თუ მართალი ვართ, რისთვის არ დავიფარავთ თავს ბრალდებისაგან და, თუ მტყუანი ვართ, მაშინ ზედმეტათაც გვიმართებს ხმის ამოღება, რომ რაიმე საშუალება გამოვძებნოთ და განვიკურნოთ თავი. სინამდვილესთან კი ყველაზე უფრო ახლოა ის, რომ ჩვენ არც თავის დაცვის და არც გასწორების უნარი აღარ გვაქვს: აი აქამდის მიგვიყვანა ჩვენმა უზრუნველობამ და დაუდევრობამ.

კაცმა თუ პირი არასოდეს არ დაიბანა, მუდამ მუქყიანი სახე ექნება. მთელი უბედურობა იმაშია, რომ, თუ თვით სამღვდელობამ დიდი მეცადინობა არ გასწია და მეტი სიფხიზლე არ გამოიჩინა, ისე, დღევანდელ პირობებში, მას არ ძალუძს განიკურნოს იმ წყლულებისაგან, რომელიც მას ძვალსა და რბილში უკვე გამჯდარი აქვს და რის მეოხებითაც მისი სხეული ძალზე გახრწნილია. მაგრამ, თუ კარგად ჩავაკვირდებით, არსებითად სამღვდელოება კი არა სტყუა ამაში, არამედ სტყუიან ის პირობები და მიზეზები, რომელთაგანაც გამოწვეულია მისი დაცემა, ის დრო და წყობილება, რომელშიაც მას უხდება მოქმედება.

ამის და მიხედვით, სამღვდელოების დაცემის მიზეზი ორ გვარია: გარეგანი და შინაგანი. პირველი დროთა ვითარებასა და ეხლანდელი წეს-წყობილების ზე გავლენით დაბადებულია, მეორე კი ჩვენშივე იმყოფება და ამისათვის, ჩვენ იმდენათ ვართ დამნაშავე, რამდენათ ჩვენის გულ-გრილობით და დაუდევრობით ხელს ვუწყობთ ჩვენ სულიერ დაცემას.

აქ მოვიყვან შემდეგ შედარებას: სამღვდელოება მიემსგავსება მძიმე ავადმყოფს, რომლის სნეულებაც გარეგანი მიზეზებით არის გამოწვეული, მაგრამ სნეულობა რომ მასში მეტად გაძლიერებულია,—ეს მისივე დაუდევრობით მომხდარა, რადგან გულგრილად შეხვედრია ამ ავათ-მყოფობას და არავითარი საშუალება არ მიუღია თავის განსაკურნებლად. აქედან ცხადია, რომ დამნაშავე თვითონაც არის. ასეა სამღვდელოების მდგომარეობაც. მაგრამ ხედავენ და საქმე აქვთ მხოლოდ შედეგთან და არა მის გამომწვევ მიზეზთან, რომელიც უმეტესობისათვის უცნობი არის. ხოლო ზოგმა იცის რაშიაც არის საქმე, მაგრამ მაინც ჩვენ გვებრძვის და ეს იმიტომ, რომ ამით გვაიძულონ, ჩვენ თვითონ გავუმკლავდეთ მიზეზებს, რომელთაგანაც იშვებიან ცუდი შედეგები. და ეს სამართლიანია, რადგან პასუხის მგებელი მაინც ბოროტების წარმომადგენელი უნდა იყოს. ავილოთ უბრალო მაგალითი: ვსთქვათ, კაცმა დიდი დანაშაულობა ჩაიდინა. თუ მიზეზი ამ დანაშაულობისა გამოიკვლიეს და იგი რამოდენიმეთ პატივ-სადები აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში სასჯელი უმსუბუქდება მას, უკეთუ არა, მაშინ სრული სასჯელი მოელის.

ამ რიგად, დანაშაულობის საპატიო მიზეზებს, დამნაშავე თვით უნდა ასახელებდეს და შეიძლება მაშინ მიექცეს მას ჯეროვანი ყურადღება. მაშასადამე, თუ ჩვენი დაცემის მიზეზებს ჩვენვე არ აღვნიშნავთ და არ მოვისურვებთ მათ ძირიანათ მოსპობას, სხვა რას დაგვედება? მანამდის კი ღირსი ვართ იმ დღენისა, რომელსაც დღეს განვიცდით.

ამას წინათ გაზეთში ამოვიკითხე, რომ ვითომც ერთი ვინმე მღვდელი სიმთვრალეში ლორზე შემჯდარიყო და ისიც შობის დღესასწაულებზე, წირვის დროს. მართალია ეს? შესაძლოა, მართალიც იყოს რადგან ამ გვარი ანალოგიური შემთხვევები სხვაც ბევრი გვსმენია და კიდეც მომხდარა. საქმე ამაში არ არის. აქ, ჩემის შეხედულებით, სიჩუმე დიდ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამით მთელი სამღვდელოება ილახძლება. რას უნდა მივაწეროთ ასეთი და ან სხვა ამ გვარი შემთხვევები სამღვდელოების ცხოვრებაში? აი, სწორედ ჩვენ იმ მიზეზთან გვაქვს საქმე, რისგანაც ეს შემთხვევა წარმოსდგა და არა პირადათ მარტო იმ მღვდელთან, რომელმაც ხსენებული სისაძაგლე ჩაიდინა. ეს მიზეზებია: დაქსაქსვა, უკავშირობა, სხვა და სხვა მიმართულება მოუწოდებლობა მღვდელობისადმი, ამ ხარისხის მიღება ცხოვრების საშუალების მისაღებად, უპატრონობა და სხვა. ამისათვის კი, საჭიროა ვიცოდეთ, რა ხალხისაგან შესდგება ჩვენი სამღვდელოება რა აღზრდა მიუღია და რა პირობებში უხდება მას მოქმედება.

მღვდ. პარმენ ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

პატარა ფელეტონი.

საახალწლო მესტვირული.

ავიწყვე გუდა-ჭიმინა,
ხელში ავლე სტვირია,
და მსურს ყოველი წარმოვსთქვა,
ძველი წლის გასაჭირია.
უსტვიროთ ჩვენში სიმართლე
შეიქნა ძლიერ ძვირია
შუქი ჩაუქრა მთვარესა,
ნათელს არ უჩანს პირია...
სტვირო, შენც ხელი მომიწყვე,
არ გახდე სიტყვით ძვირია,
რომ ერთად გავიზიაროთ,
მოძმეთ ლხინი და ჭირია.
ავლაგმოთ გესლიანები,
იმათ გაუხმეს ცხვირია,
რომ მართლ-მორწმუნე პირებსა,
აღარ დაგვწამონ ცილია!!.
ჩვენ მუდამ გამოვესარჩლოთ,
ვინც არის ტანჯვის შვილია,
ვინც მუდამ შრომას ეწევა,
ოფლშია ამოსვრილია.
წინ—წინ წავიდეთ ყოველთვის
გრძნობით ვაჟღეროთ სიმი,
სიმართლის დროშა გვეშალოთ—
„ახალი წლის", შვილია.
ზედ დავაწეროთ სხივოსანს
ძმობა ერთობა—ტკბილია,
შემოვკრბეთ მის ქვეშ ყველანი
ცხოვრებით განაწირია.
მოვსპოთ მონობა, შევმუსროთ
ხალხის მტარვალნი: გზირია,
იუდა სულით მდაბალი,
ჩვენს სისხლში ამოსვრილია.

ქ. მიმქრალი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 3 იანვარი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ჩვენმა არტილერიამ ინგლისის არტილერიის დახმარებით დიდათ დააზიანა მტრის თხრილები გეტსასის რაიონში, სადაც ორი ძლიერი აფეთქება მოხდა. ჩვენი ბატარეა მარჯვეთ უშენდ ყუმბარებს იმ მიდამოს, რომელიც ლილ—დებ—ტებუსის გზატკეცილთან არის და ააფეთქეს სომარ იარაღების საწყობი 119 მილლომეთან. ჩვენი ნაღმის აფეთქებით განადგურდა გერმანელთა მცირე სადარაჯო რაზმი. არგონებში ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა ხდებოდა ვოკუას რაიონში. ლოტარინგიაში სროლა ავუტეხეთ მტრის შეჯგუფულ ჯარს.

ჰავრი. 3 იანვარი. ბელგიის ცნობა. მთელს ფრონტზე მხოლოდ სუსტი საარტილერიო სროლა იყო.

ლონდონი. 3 იანვარი. მთავარ ბანაკის ცნობა. საფრანგეთში დღეს წყნარათ ჩაიარა. ქვინშითან და იპრთან მხოლოდ სუსტი სროლა იყო. ჩვენი არტილერია ცეცხლს უშენდა გერმანელების გამაგრებულ პუნქტს იპრის ჩრდილოეთით.

რომი. 3 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. სარკასა და ადიჟის შუა მდებარე მიდამოში 1 იანვარს ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მტრის ერთი რაზმი შეეცადა მოახლოებოდა ჩვენს პოზიციებს კრესტის ქედის შესავალთან, მაგრამ სასწრაფოთ მოგერიებულ იქნა. ერთ-ერთმა ჩვენმა რაზმმა დაიკავა პატარა კუნძული ლოპიოს ტბაზე. ჩვენმა არტილერიამ თავისი მოხერხებული ცეცხლით აფეთქება გამოიწვია მტრის სომარ მასალის საწყობში ავიზოს ქედის ზემო ნაწილში ომბერტის რაიონში და გაფანტა მტრის კოლონა ბიბლისკენ მიმავალ გზატკეცილებით ზაბაკის ქედში. გორიცის ჩრდილო დასავლეთით 1 იანვარს საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მტერმა მრავალ რიცხოვანი ძალით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. პირველათ მოგერიებულ იქნა მტერი, მაგრამ იერიშის განახლებისას მან შესძლო ჩვენს თხრილებში შემოჭრა ოსლავიასა და მაღლობ 188 შუა მდებარე მიდამოში. მიუხედავათ ამისა, ჩვენმა ჯარმა მედგარი კონტრიერიშით მტერი უკუაქცია ოსლავიას იქით და დაიბრუნა თხრილში ამ სოფლის აღმოსავლეთით. ამ ბრძოლის დროს ხელში ჩავიგდეთ სამხედრო სურსათი და რამდენიმე ტყვე. მტრის ფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს ფელტეს თავზე, რამაც უმნიშვნელო ნივთიერი ზიანი მოაყენა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

სამღვდელოების ცხოვრებიდან

მოძრაობის შემდეგ სამღვდელოების სახელი საგრძნობლად დაეცა. მოძრაობამ ხალხის მასას ნათლათ დაანახვა, რომ სამღვდელოება დაშორებულია იმ ხალხს, რომელიც მას ინახავს — ასაზრდოებს. მშრომელი მასა, რომელსაც უწინ თავისი მოძღვარი ნამდვილ მზრუნველ მამად ჰყავდა წარმოდგენილი, მოძრაობის შემდეგ წინააღმდეგში დარწმუნდა, ამის გამო, მისგან პირი იბრუნა და იგი თავის არა საიმედო პირად დასახა.

ყველა ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ძმობა-ერთობას, რომელიც მოძრაობამ თავის უმთავრეს მცნებათ აღიარა, სამღვდელოება გულგრილად შეხვდა და ხალხში მის განმტკიცებას წინააღუდგა. გარდა ამისა, ათასნაირი სხვადასხვა გვარი გადასახადისაგან შეწუხებულმა ხალხმა, ერთხელ და სამუდამოთ მოინდომა მღვდლის სასარგებლოდ შემოღებული ბეგარისაგან თავი განთავისუფლებინა და ყოველგვარ მღვდელ-მოქმედებაზე თავის მიერ შემოღებული ნიხრი დაადგინა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ სამღვდელოება აიძულა მთავრობისათვის მიემართა და თავის სულიერ შვილებისაგან სარჩო-საზრდებელი ძალით ეღო. სამღვდელოების ასეთი ნაბიჯი პირდაპირ მისი დამღუპველი გამოდგა; მან დრამის მეტი ძალით ვერაფერი ვერ აიღო და სხვა წვრილმანი შემოსავალიც დაკარგა და ხალხიც სამუდამოთ გადაიმტერა. აი, უმეტესად აქედან იწყება სამღვდელოების პრესტიჟის დაცემა და მისი გავლენის შესუსტება. სამღვდელოების პრესტიჟის დაცემას მისი ნივთიერი მდგომარეობის დაცემაც თანმოჰყვა. მოძრაობამდის თუ მღვდელს წელიწადში ას თუმნამდე შემოსავალი ჰქონდა, დღეს ამის ნახევარსაც ველარ იღებს. რა საშუალებით შეუძლია სამღვდელოებას თავის სახელისა და ნივთიერი მდგომარეობის აღდგენა? ამის პასუხი და გამოსავალი გზა მხოლოდ ერთად-ერთია. სანამ ჩვენი სამღვდელოება მშრომელ ხალხს წრეში არ ამოუდგება, მის ჭირსა და ლხინს არ გაიზიარებს, როგორც კეთილი მამა, და ცხოვრების მიზნად პროგრესს არ დაისახავს, მანამდე სამღვდელოების პრესტიჟის აღდგენაზე და მის ნივთიერ უზრუნველყოფაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

დრო არის ჩვენმა სამღვდელოებამ ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს.

მ. ფარცხნალელი.

პროვინციის ცხოვრება.

ზესტაფონი. ფრიად სასიამოვნო და საშვილიშვილო საქმის გაკეთება იკისრეს ზესტაფონლებმა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის თაოსნობით აქაურებმა ერთხმათ დაადგინეს: ყოველ წლივ იდღესასწაულონ ხსენება წმ ნინოსი, იმ ქალწულისა, რომელმაც გაავრცელა ქრისტიანობა საქართველოში როგორც ღვთისმშობლის „საკუთარმა მოწაფემ", ანდრია მოციქულის „ქადაგების წარმმართველმა" და „სულის წმიდის ქნარმა".

პროგრამა დღესასწაულობისა შემდეგია. 14 იანვარს წირვა პარაკლისის მოსასმენად ხალხი მივა ეკლესიაში, თუ შეიძლება, ვაჭრობა უნდა იქმნეს შეჩერებული, წირვის გამოსვლამდი მაინც ამ საკითხმა კამათი გამოიწვია. უმრავლესობა მომხრე იყო დუქნების დაკეტვისა იმ დღეს, უმცირესობას კი ეშინოდა ვაი თუ რაიმე „საფრთხე მოგვევლოსო". ნაწირევზე მოწაფეებს საუბარს გაუმართავენ წმ. ნინოზე ეკლესიაში. საღამოთი ადგილობრივ საკრებულოში გაიმართება „ქართული საღამო". სურვილი გამოთქვა ეროვნულ ტანისამოსში გამოეწყონ, შეძლებისა და მოხერხებისა დაკვალად, იქ დამსწრენი. ქალი და ვაჟი. პირველად წმ. ნინოს და იმის მნიშვნელობაზე ლექციას წაიკითხავს მღ. კ. ანთაძე. მეორედ დაიდგმის პიესა. მესამედ-კონცერტი გურულ მომღერლებთაგან შემდგარი, უკანასკნელად ცოცხალი სურათი. „ნინო, ქეთევანს და თამარს" აჩვენებენ. ამ საღამოდან შემოსული ფული გადაიდება წმინდა ეროვნულ საქმეზე, სახელდობრ მგონი აკაკის სახელობის სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლად.

ეს ფრიად სიმპატიური საღამო აზრად აქვსთ ყოველ წელ [illegible] მკვიდროთ. ვიმეორებთ [illegible] საწონია და პირველი ნაბიჯია აქაურებისთვის მაინც. [illegible] თილად დაგვირ[illegible]

ქ. გძე

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ „სამშობლოს" საშუალებით ღრმესი მად[illegible] გამოუცხადოთ გიმნაზიის მოწაფეთ ვასილ [illegible] ძეს და სპირიდონ ფოცხაძეს, რომლებმა[illegible] დაიხარჯეს და ხუთი თვის განმავლობაში [illegible] ლით განაგებდენ ტყიბულის უფასო წიგნ[illegible] სამკითხველოს და თავის დაუზარებლობით [illegible] ნეს სამკითხველოს 25 მანეთი.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ილია ფოც[illegible] რომელმაც კეთილი ინება და სამკითხველო[illegible] მოსწირა რამდენიმე წიგნი, ღირებული სამ[illegible]

გამგეობის მდივანი ქრისტეფორე ანდრ[illegible]

— —

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გა[illegible] საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუც[illegible] დიმიტრი ვრაჟის ძე ესებუას, რომ კეთილ[illegible] ბა და გერმანიის ასპარეზზე ჩვენ მყოფ [illegible] კაცებს, რიცხვით 50-ს რამდენიმე ცალი ქარ[illegible] ჟურნალ-გაზეთებისა მოგვაწოდა.

ამხანაგების მინდობილობით

ბერსამე ივანეს ძე ესებუ[illegible]

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცა**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 5
„	— საღამ.	— 6 ს. 5
ბათომიდან	— დღისით	— 1 ს. 2
„	— ღამის	— 2 ს. 2
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 3
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 1

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 5
„	— ღამის	— 1 ს.
ბათომისაკენ	— დღისით	— 5 ს. 30
„	— დილის	— 4 ს. 27
ფოთისკენ	— დღისით	— 4 ს. 21
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 20
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ზოგნაირი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებით უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აძლევს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

* * *

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავრი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი, თუნდაც მცირე დოზა საწყალ დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.